საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №75

2025 წლის 17 ივლისი

ქ.თბილისი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 5-ით დამტკიცებული:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილების:

ა.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;

ა.ბ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების“ (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილების დანართი 1)“:

ბ.ა) მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და სტრუქტურის, აგრეთვე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების თაობაზე წინადადებების მომზადება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;“;

ბ.ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეებს, აპარატის სხვა მოსამსახურეებს;“;

ბ.გ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.დ) 4^1 მუხლის:

ბ.დ.ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის შემთხვევაში უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ ამ დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და სრულყოფილი გამოკვლევისა და წინასწარი შემოწმების

განხორციელებას.“;

ბ.დ.ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბიურო:

ა) საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ნორმატიული აქტების საფუძველზე, ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილია:

ა.ა) გაეცნოს სასამართლოში არსებულ საქმის მასალებს, მიიღოს საქმის მასალების ასლები;

ა.ბ) როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, ახსნა-განმარტება ჩამოართვას საჩივრის (განცხადების) ავტორს, სასამართლოს აპარატის თანამშრომელს, მიიწვიოს სხვა პირი და მიღოს მისგან დამატებითი ინფორმაცია;

ა.გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის დაუცველად საჩივრის (განცხადების) წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 10 დღის ვადაში წერილობით აცნობოს საჩივრის (განცხადების) ავტორს;

ა.დ) იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი (განცხადება) ანონიმური ხასიათისაა, ან მიმართულია ყოფილი მოსამართლის წინააღმდეგ, ან მასში მითითებული საფუძვლით მოსამართლის მიმართ უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება, საჩივრის (განცხადების) მიღებიდან 10 დღის ვადაში მოხსენებითი ბარათით მიმართოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს დისციპლინური სამართალწარმოების არდაწყების თაობაზე;

ა.ე) მოამზადოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/მდივნის დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების/აქტების პროექტები;

ა.ვ) განახორციელოს დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მოწვევისა და გამართვის ორგანიზება;

ა.ზ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოს მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის სახელით;

ბ) შეისწავლის საერთაშორისო გამოცდილებას სასამართლო ეთიკისა და მოსამართლეთა დისციპლინური დევნის საკითხებზე და შესაბამის წინადადებებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს/მდივანს;

გ) აწარმოებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკას და უზრუნველყოფს მის განზოგადებას.“;

ბ.ე) 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აწესრიგებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მისი აპარატის სამსახურებრივი დოკუმენტების რეგისტრაციასა და დაგზავნას, ორგანიზებას უწევს აპარატში ერთიან საქმისწარმოებას და უზრუნველყოფს საჭირო პირობების შექმნას თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის დასამუშავებლად;“;

ბ.ვ) 7^3 მუხლი ამოღებულ იქნეს;

გ) „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის

№1/206-2007 გადაწყვეტილების დანართი 2)“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 2

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის რანგი	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბიურო			
1.	ბიუროს უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი		1	10555
2.	ბიუროს უფროსის მოადგილე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე		1	6570
3.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	5	3796
4.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	6	3212
	სულ		13	
	სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი		1	7300
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის		1	6570

	მოადგილე			
I	სამართლებრივ საკითხთა სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5840
2.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3796
3.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3212
II	საფინანსო-სამეურნეო სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5840
2.	მთავარი ბუღალტერი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	4088
3.	უფროსი კონსულტანტი (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	4088
4.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3796
5.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3212
	სულ		12	

	ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი		1	7300
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე		1	6570
I	კანცელარია			
1.	კანცელარიის უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	4088
2.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3796
3.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3212
4.	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი – მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	15	2628
II	სასამართლოს მანდატურის სამსახური			
1.	სამსახურის უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3212
2.	სასამართლოს მანდატური – პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV	5	2190

	სულ		26	
	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი		1	7300
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე		1	6570
I	ადამიანური რესურსების პოლიტიკის მართვისა და ანალიზის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5840
2.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3796
3.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	3212
	სულ		9	
	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი		1	7300
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – პირველადი სტრუქტურული		1	6570

	ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე			
I	საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5840
2.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3796
3.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3212
	სულ		6	
	მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი		1	7300
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე		1	6570
3.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3796
4.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	3212
	სულ		8	
	სასამართლო მენეჯმენტის			

	დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის თავმჯდომარე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი		1	7300
2.	დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე		1	6570
3.	უფროსი კონსულტანტი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	3796
4.	კონსულტანტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	3212
	სულ		8	
	სულ ჯამში		82	

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ერთეულების რაოდენობა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა განისაზღვროს 82 საშტატო ერთეულით, მათ შორის, 14 (თოთხმეტი) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირით (7 (შვიდი) – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; 7 – (შვიდი) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე).";

დ) „დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილების დანართი 3)" ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივანი **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**